განხილული და მოწონებულია

ბაფის გამგეობის მიერ

სხდომის ოქმი # 9. 15.12.2023

მიღებულია ბაფის საერთო კრებაზე

24.12.2023 წელი

ბაფის მმართველობისა და მენეჯმენტის ქცევის კოდექსი

შესავალი

ქცევის კოდექსი შემუშავებულია ბაფის მმართველობის ძირითადი ორგანოს - გამგეობის, მისი კომიტეტების წევრების, მენეჯმენტისა და თანამშრომლებისათვის. ბაფის წევრების მოლოდინია, რომ პირები, ვისაც წინამდებარე ქცევის კოდექსი ეხება, უპირობოდ დაიცავენ ამ დოკუმენტით დადგენილ კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტებს.

წინამდებარე ქცევის კოდექსი ეფუძნება ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის რეკომენდაციებს „საქმიანობაზე ფოკუსირება - პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციის ეფექტური მართვის პრინციპები“.

ქცევის კოდექსის მიზანია, ბაფის გამგეობის/კომიტეტის და მენეჯმენტის გუნდის წარმომადგენელთა მიერ თავიანთი ფუნქციების, დაკისრებული მოვალეობების და მათთვის გადაცემულ უფლებამოსილებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების გაცნობიერების უზრუნველყოფა.

წინამდებარე ქცევის კოდექსი ასახავს პრინციპებს, რომელსაც უნდა იცავდეს ბაფის გამგეობის/კომიტეტის და მენეჯმენტის გუნდის წევრი, რათა გააძლიეროს მართვის მექანიზმები და თვითშეფასების ინსტრუმენტი უწყვეტი გაუმჯობესების მისაღწევად.

ქცევის კოდექსის ძირითადი პრინციპების დაცვა ბაფის გამგეობის/კომიტეტის და მენეჯმენტის გუნდის წევრებს საშუალებას აძლევს, თავიანთი მოვალეობის შესრულებისას იმოქმედონ ბაფის წევრებისა და საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ.

გამგეობის/კომიტეტის ყველა წევრმა არჩევისთანავე და მენეჯმენტის ყველა თანამშრომელმა დანიშვნისთანავე უნდა მოაწეროს ხელი ქცევის კოდექსის დაცვის შეთანხმებას.

1. ზოგადი ნორმები

1.1. კანონთან შესაბამისობა

ბაფის მმართველობის ძირითადი ორგანოს (გამგეობა და მისი კომიტეტები) ყველა წევრი და მენეჯმენტის გუნდი (აღმასრულებელი დირექტორი და სხვა თანამშრომლები)

ვალდებულია, დაიცვას ბაფის კანონიერება, ამიტომ მათ უნდა დაიცვან საქართველოს კანონები და სხვა მარეგულირებელი ნორმები უსაფრთხოებისა და სამართლიანი ურთიერთობის შესახებ. ყველას მოეთხოვება, იყვნენ ეთიკური და პასუხისმგებელი, როდესაც საქმე ეხება ბაფის წევრებს, ფინანსებს, პროდუქტებს, პარტნიორებს და საჯარო იმიჯს.

1.2. საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება

გამგეობის/კომიტეტის და მენეჯმენტის გუნდის წევრი უნდა მოიქცეს ისე, როგორც შეეფერება პროფესიის პასუხისმგებლობას - იმოქმედოს საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ.

გამგეობის/კომიტეტის და მენეჯმენტის გუნდის წევრის საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ მოქმედება იმას ნიშნავს, რომ იგი კეთილსინდისიერი ქცევით დაეხმარება ბაფის წევრებს ნებისმიერი სახის პროფესიული საქმიანობისას და საქმიან ურთიერთობებში მოიქცევა საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ.

1.3. მიუღებელი ქცევა

გამგეობის/კომიტეტის და მენეჯმენტის გუნდის თითოეულმა წევრმა თავი უნდა აარიდოს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც მან იცის, ან უნდა იცოდეს, რომ ბაფს დისკრედიტაციას გაუწევს.

ბაფის დისკრედიტაცია შესაძლოა განაპირობოს გამგეობის/კომიტეტის ან/და მენეჯმენტის გუნდის წევრის ისეთმა საქციელმა, რომლის შესახებაც გონიერი და ინფორმირებული მესამე მხარე, სავარაუდოდ, დაასკვნიდა, რომ ასეთი საქციელი უარყოფითად მოქმედებს ბაფის რეპუტაციაზე.

გამგეობის/კომიტეტის და მენეჯმენტის გუნდის წევრი შეგნებულად არ უნდა დაკავდეს ისეთი ბიზნესით, საქმით ან საქმიანობით, რაც მის პატიოსნებას, ობიექტურობას ან პროფესიის რეპუტაციას ზიანს აყენებს ან შეუძლია მიაყენოს და, მაშასადამე, შეუთავსებელი იქნება ეთიკის ძირითად პრინციპებთან.

გამგეობის/კომიტეტის და მენეჯმენტის გუნდის წევრმა არ უნდა შელახოს ბაფის რეპუტაცია თავისი დაწინაურების, სამსახურში წარჩინების მოპოვების ან/და სხვაგვარი წინსვლის ხელშეწყობის მიზნით.

2. მმართველობის უმაღლესი ორგანო

ბაფის მმართველობის უმაღლესი ორგანოა წევრთა საერთო კრება. იგი იღებს არსებითი მნიშვნელობის გადაწყვეტილებებს, მათ შორის, ბაფის მმართველობის ძირითადი ორგანოს - გამგეობის წევრების არჩევის შესახებ.

საერთო კრების თითოეული დელეგატის მორალური პასუხისმგებლობაა, გამგეობის წევრობის კანდიდატისთვის ხმის მიცემის დროს იყოს ობიექტური და სამართლიანი.

გამგეობის წევრობის კანდიდატისათვის მხარის დაჭერის დროს საერთო კრების თითოეული დელეგატი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ კანდიდატს გააჩნია:

- ნათელი წარმოდგენა ბაფის ორგანიზაციული სტრუქტურის, მმართველობის ძირითადი ორგანოს და მენეჯმენტის ფუნქციების შესახებ;
- ძლიერი დაინტერესება ბაფის და მისი ზოგადი მისიის მიმართ;
- ბუღალტრის და აუდიტორის პროფესიის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების სიღრმისეული ცოდნა;
- მზაობა და პასუხისმგებლობა, სიღრმისეულად გაეცნოს გარემოს, რომელშიც ბაფი საქმიანობს
- საკმარისი დრო გამგეობის სხდომებზე რეგულარულად დასასწრებად;
- დიდი მონდომება შეხვედრებსა და პროფესიასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ღონისძიებებზე აქტიური მონაწილეობის მისაღებად;
- ინიციატივა და მზადყოფნა დავალებების მიღებასთან და სათანადოდ და დროულად შესრულებასთან დაკავშირებით;
- საქმის კურსში ყოფნა, მზადება შეხვედრებისთვის და შეხვედრის ოქმების და ანგარიშების განხილვა და შესაბამისი კომენტარების გაკეთება.
- მზადყოფნა, იმოქმედოს პროფესიული ინტერესების დაცვით მიზნით;
- გამგეობის წევრებთან და მენეჯმენტთან გუნდური მუშაობის სურვილი და შესაძლებლობა;
- გუნდური გადაწყვეტილებების მხარდაჭერის სურვილი და უნარი;
- სხვა წევრებთან კოლეგიალური სამუშაო ურთიერთობის დამყარების უნარი, რომელიც ხელს უწყობს კონსენსუსის მიღწევას;
- ბაფის, მისი გამგეობისა და კომიტეტების მიმართ ერთგულება;
- დიდი სურათის დანახვის შესაძლებლობა, სტრატეგიულად აღქმის უნარი, წარმოსახვისა და კონცეპტუალიზაციის შესაძლებლობები;
- გულწრფელობის, მიუკერძოებლობის და სხვების პატივისცემის თვისება;
- კარგი განსჯისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- კომუნიკაციის უნარი;
- შინაგანი რწმენა, რომ წინამდებარე ქცევის კოდექსით დაიცავს გამგეობის წევრისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

გამგეობის წევრობის მსურველმა კრიტიკული თვითშეფასებით უნდა განსაჯოს, რამდენად აკმაყოფილებს გამგეობის წევრის მიმართ ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებსა და თვისებებს.

3. ბაფის გამგეობის/კომიტეტის წევრები

გამგეობის/კომიტეტის წევრთა ქცევის კოდექსი ასახავს კეთილსინდისიერი ქცევის იმ სტანდარტებს, რომლის დაცვის მოლოდინი გააჩნია ბაფის წევრებს გამგეობასა და კომიტეტებში არჩეული წევრებისაგან.

კეთილსინდისიერ ქცევაში მოიაზრება:

- კეთილსინდისიერი, სამართლიანი და დამოუკიდებელი ქცევის გამოვლენა;
- ინტერესთა კონფლიქტის აღქმა, გამჟღავნება და მართვა;
- ბაფის რეპუტაციის დაცვა და პოპულარიზაცია.

3.1. კეთილსინდისიერი, სამართლიანი და დამოუკიდებელი ქცევა

- **უანგარობა**

გამგეობის/კომიტეტის წევრებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები საზოგადოებისა და პროფესიის წარმომადგენლების ინტერესებიდან გამომდინარე.

გამგეობის/კომიტეტის წევრებმა არ უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის ან უპირატესობის მოსაპოვებლად საკუთარი თავისთვის ან მათი ასოცირებული პირებისთვის (ასოცირებული პირები მოიცავს მეუღლეს, მშობელს, ვაჟს, ქალიშვილს, ძმას, დას, სიძეს, რძალს, პარტნიორობას და პარტნიორებს).

- **ობიექტურობა**

ბაფის საქმიანობის განხორციელებისას გამგეობის/კომიტეტის წევრებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები მხოლოდ პროფესიული ან საქმესთან დაკავშირებულ განსჯის საფუძველზე ისე, რომ არ დაუშვან კომპრომისი მიკერძოების, ინტერესთა კონფლიქტის ან სხვა პირების თუ სხვა ფაქტორების მიზანშეუწონელი გავლენის ან მათზე მიზანშეუწონელი დაყრდნობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ გამგეობის/კომიტეტის წევრებზე შეიძლება ძლიერი გავლენა მოახდინოს სხვების შეხედულებებმა, მათი პირადი პასუხისმგებლობაა, განსაზღვრონ, რა გადაწყვეტილება მიიღონ ნებისმიერ საკითხზე, მისი არსის სრული განხილვის შემდეგ.

- **პატიოსნება**

გამგეობის/კომიტეტის წევრები უნდა იყვნენ უშუალო და პატიოსანი ბაფის ყველა ურთიერთობაში. წევრებმა უნდა განაცხადონ ნებისმიერი მატერიალური და შესაბამისი პირადი ან პერსონალური ინტერესების შესახებ, რომლებიც უკავშირდება მათს, როგორც წევრების,

მოვალეობებს, სხვაგვარად არ უნდა მოიძიონ ინფორმაცია საკუთარი პირადი სარგებლობისთვის.

გამგეობის/კომიტეტის წევრებმა ყოველთვის უნდა გადადგან შესაბამისი ნაბიჯები ნებისმიერი კონფლიქტის მოსაგვარებლად, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ისე, რომ დაცული იყოს საზოგადოების ინტერესები და ბაფის რეპუტაცია.

წევრებმა არ უნდა დაიკისრონ რაიმე ფინანსური ან სხვა ვალდებულება სხვა პირების ან ორგანიზაციების წინაშე, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მათზე, როგორც გამგეობის/კომიტეტის წევრის მოვალეობების შესრულებაზე.

გამგეობის/კომიტეტის წევრებმა არ უნდა მიიღონ რაიმე საჩუქრები ან სტუმარმასპინძლობა, რომელიც შეიძლება გათვლილი იყოს გავლენის მოსახდენად მათ ქცევაზე.

- **ურთიერთპატივისცემა**

გამგეობის/კომიტეტის წევრებმა უნდა გაიგონ და პატივი სცენ სხვა წევრების საწინააღმდეგო შეხედულებებს, მოსაზრებებსა და იდეებს. წევრები უნდა შეეცადონ, უზრუნველყონ ურთიერთპატივისცემის, მიუკერძოებლობისა და თანამშრომლობის გარემო.

- **ღია და გულწრფელი კომუნიკაცია**

გამგეობის/კომიტეტის წევრები უნდა იყვნენ ღია და გულწრფელი თავიანთი კომუნიკაციების დროს. მათ უნდა გამოხატონ საკუთარი შეხედულებები მკაფიოდ და ლაკონიურად და მოუსმინონ სხვებს.

- **ჩაურევლობა**

გამგეობის/კომიტეტის წევრები არ უნდა ერეოდნენ ბაფის ყოველდღიურ ადმინისტრირებასა და ფუნქციონირებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათ რაიმე კონკრეტული როლი აქვთ მინიჭებული ბაფის მენეჯმენტში.

- **სათანადო ზრუნვა**

გამგეობის/კომიტეტის წევრები ვალდებული არიან, გამოიყენონ სათანადო სიფრთხილე და შრომისმოყვარეობა, რათა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები, როგორც წევრებმა.

- **ღიაობა**

წევრები მაქსიმალურად ღია უნდა იყვნენ გამგეობის/კომიტეტების სხდომებზე საკუთარი გადაწყვეტილებებისა და ქმედებების მიზეზებთან მიმართებით. მათ არ უნდა გაამჟღავნონ ინფორმაცია მხოლოდ მაშინ, როცა ამას აშკარად მოითხოვს კონფიდენციალურობა და უნდა განაცხადონ ამის შესახებ.

- **დამოუკიდებლობა**

გამგეობის/კომიტეტის წევრი უნდა აცნობიერებდეს დამოუკიდებლობის შენარჩუნების ვალდებულებას ბაფის მიზნების მისაღწევად გადაწყვეტილების მიღებისას, მისი სახელ-მძღვანელო დოკუმენტების შესაბამისად.

- **ანგარიშვალდებულება**

გამგეობის/კომიტეტის წევრები ანგარიშვალდებულნი არიან ბაფის წევრების წინაშე თავი-ანთი გადაწყვეტილებებისა და ქმედებებისთვის და მზად უნდა იყვნენ, დაექვემდებარონ სათანადო კონტროლს.

3.2. ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკა

გამგეობის/კომიტეტის წევრმა არ უნდა დაუშვას, რომ პირადი ინტერესი ან დაკავშირებული პირის ინტერესი წინააღმდეგობაში მოვიდეს ბაფის ინტერესთან. გამგეობის/კომიტეტის თითოეულმა წევრმა და სხდომის სხვა დამსწრე პირმა უნდა შეატყობინოს გამგეობას, თუ თვლის, რომ აქვთ ინტერესთა კონფლიქტი შეხვედრაზე განსახილველ საკითხთან მიმართებაში.

თუ გამგეობა/კომიტეტი სხვაგვარად არ გადაწყვეტს, კონფლიქტთან კავშირში მყოფი პირი არ უნდა ესწრებოდეს გამგეობის/კომიტეტის სხდომას საკითხის განხილვის ან/და გადაწ-ყვეტილების მიღების დროს; ამ პირს გადაწყვეტილების მიღების თაობაზე უნდა ეცნობოს შედეგის დადგომის შემდეგ.

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ უნდა ჩაიწეროს გამგეობის/კომიტეტის სხდომის ოქმში.

3.3. ბაფის რეპუტაციის დაცვა და პოპულარიზაცია

- **რეპუტაციის დაცვა**

გამგეობის/კომიტეტის წევრებმა თავი უნდა აარიდონ ბაფის რეპუტაციისათვის რაიმე სახის ზიანის მიყენებას იმის გამო, რომ წევრი დაექვემდებარება რომელიმე სამართლებრივ, მარეგულირებელ ან დისციპლინურ პასუხისმგებლობას, ან ნებისმიერ სხვა არასასურველ გამჟღავნებას, რამაც შეიძლება ბაფს უხერხულობა შეუქმნას.

გამგეობის წევრმა, გაიგებს რა ნებისმიერ საკითხს, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სამართლებრივი, მარეგულირებელი ან დისციპლინური პასუხისმგებლობა, დაუყოვნებ-ლივ უნდა მიმართოს რჩევის მისაღებად გამგეობის თავმჯდომარეს და მასთან კონსულ-ტაციით გადაწყვიტოს მოქმედების მომავალი გზა.

გამგეობის/კომიტეტის ყველა წევრი უნდა აცნობიერებდეს საკუთარ პასუხისმგებლობას, იმოქმედოს პროფესიული ორგანიზაციის ინტერესების დაცვით.

გამგეობის/კომიტეტის ყველა წევრმა ხელი უნდა შეუწყოს ბაფის მუშაობასა და მისი რეპუტაციის დაცვას.

გამგეობის/კომიტეტის თითოეული წევრი ვალდებულია, არ გააკეთოს ისეთი რამ, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ბაფის რეპუტაციას.

- **კონფიდენციალურობა**

არსებობს მოლოდინი, რომ ინფორმაციას, რომელსაც წევრები იგებენ გამგეობის/კომიტეტის მუშაობის პროცესში, მოეპყრობიან ისე, როგორც კონფიდენციალურს. წევრების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებისას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია (კონფიდენციალური ინფორმაცია ნიშნავს ინფორმაციას, რომელიც სხვაგვარად არ არის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი) რჩება ბაფისა და შესაბამისი პირის საკუთრებაში და დაუშვებელია მისი გამჟღავნება ან მის გამჟღავნებაზე დათანხმება, თუ ეს გამჟღავნება არ არის ნებადართული გამგეობის მიერ, ან კანონით არ არის მოთხოვნილი.

გამგეობის/კომიტეტის წევრმა მიღებული ინფორმაცია არ უნდა გამოიყენოს არასათანადოდ.

გამგეობის/კომიტეტის წევრებს ევალებათ გამგეობის/კომიტეტის სხდომების კონფიდენ-ციალურობის შენარჩუნება (საჭიროებისამებრ).

- **პოლიტიკისადმი ერთგულება**

გამგეობის/კომიტეტის წევრებმა არ უნდა შეარყიონ ბაფის რაიმე პოზიცია ან შეხედულება, იქნება ეს პირადი თუ სხვა მიზნებისთვის.

გამგეობის/კომიტეტის წევრებმა თავიანთ პირად საქმიანობაში არ უნდა დააკავშირონ ბაფი რაიმე ისეთ შეხედულებებთან, რომელიც არ არის ბაფის გაცხადებული პოლიტიკა.

3.4. კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტების უგულებელყოფა

გამგეობის/კომიტეტის წევრის მიერ კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტების უგულებელყოფამ შესაძლოა რაიმე სახის ზიანი მიაყენოს ბაფის რეპუტაციას. კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტების ნებისმიერი კომპონენტის უგულებელყოფა მიიჩნევა მიუღებელ ქცევად და ექვემდებარება სათანადო განხილვას და შეფასებას.

გამგეობის/კომიტეტის წევრის მიუღებელი ქცევის ფაქტს განიხილავს გამგეობის სხდომა. მიუღებელი ქცევის შედეგად დამდგარი/მოსალოდნელი ბაფის რეპუტაციული ზიანის სიმძიმის შეფასების გათვალისწინებით, გამგეობა უფლებამოსილია, გაატაროს შემდეგი ღონისძიება:

- გააფრთხილოს გამგეობის/კომიტეტის წევრი;
- მკაცრად გააფრთხილოს გამგეობის/კომიტეტის წევრი და გაასაჯაროოს აღნიშნული გადაწყვეტილება ბაფის საინფორმაციო საშუალებებით;
- გამოიწვიოს წევრი კომიტეტის შემადგენლობიდან და გაასაჯაროოს აღნიშნული გადაწყვეტილება ბაფის საინფორმაციო საშუალებებით;

- საერთო კრების დღის წესრიგში შეიტანოს გამგეობის წევრის გაწვევის და მონაცვლე წევრის არჩევის საკითხი.

4. ბაფის მენეჯმენტი

4.1. პატივისცემა სამუშაო ადგილზე

ბაფის მენეჯმენტის გუნდის (შემდგომში - მენეჯმენტი) ყველა თანამშრომელი პატივისცემით უნდა მოეპყროს ბაფის წევრებს და კოლეგებს. დაუშვებელია რაიმე სახის დისკრიმინაციული ქცევა და შევიწროება. თანამშრომელი ასევე უნდა შეესაბამებოდეს თანაბარი შესაძლებლობების (ასაკი; შეზღუდული შესაძლებლობა; ეთნიკურობა; გენდერი; რელიგია/მრწამსი და კულტურა; სექსუალური ორიენტაცია) პოლიტიკას თავიანთი სამუშაო მოვალეობების ყველა ასპექტში.

4.2. ქონების დაცვა

ყველა თანამშრომელი პატივისცემითა და ზრუნვით უნდა მოეპყროს ბაფის ქონებას.

ეს ნიშნავს, რომ თანამშრომლები:

- არ გამოიყენებენ ბაფის აღჭურვილობას ბოროტად ან არასერიოზულად.
- ბაფის ქონებას გამოიყენებენ მხოლოდ სამუშაო მოვალეობების შესასრულებლად.
- დაიცავენ ბაფის ქონებას დაზიანებისა და ვანდალიზმისგან.

4.3. პროფესიონალიზმი სამუშაო ადგილზე

ყველა თანამშრომელმა უნდა გამოიჩინოს პროფესიონალიზმი სამუშაო ადგილზე ყოფნისას:

- **კორუფცია**

კატეგორიულად აკრძალულია თანამშრომლების მიერ საჩუქრების მიღება გარე მხარეებისგან. ასევე აკრძალულია ქრთამის მიღება. ამ აკრძალვების დარღვევა სერიოზულ ზიანს მიაყენებს ბაფის რეპუტაციას.

- **სამუშაო მოვალეობები და უფლებამოსილება**

ყველა თანამშრომელმა უნდა შეასრულოს თავისი სამუშაო მოვალეობები ბაფის წევრების, დაინტერესებული მხარეების და საზოგადოების მიმართ პატიოსნებით და პატივისცემით. ხელმძღვანელმა ბოროტად არ უნდა გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება. ხელმძღვანელი მენეჯმენტის წევრებს (თანამშრომლებს) მოვალეობებს გადასცემს მათი კომპეტენციების და დატვირთვის გათვალისწინებით. თანამშრომლებმა ხელმძღვანელის მითითებები უნდა შეასრულონ კვალიფიციურად, გულისხმიერებითა და დროულად.

- **გაცდენა და დაგვიანება**

თანამშრომლებმა უნდა დაიცვან თავიანთი განრიგი. თუმცა, ვერ გამოირიცხება გარემოებები, რომლებმაც შეიძლება, ხელი შეუშალონ თანამშრომლებს დაიცვან სტანდარტული სამუშაო საათები ან დღეები. ასეთი ფაქტები დროულად უნდა ეცნობოს ხელმძღვანელს.

- **ინტერესთა კონფლიქტი**

თანამშრომლები უნდა მოერიდონ ნებისმიერ პირად, ფინანსურ ან სხვა ინტერესებს, რომელიც ხელს უშლის მათ შესაძლებლობებს ან მზადყოფნას, შეასრულონ თავიანთი სამუშაო მოვალეობები.

- **თანამშრომლობა**

სამუშაო ადგილზე თანამშრომლებს მოეთხოვებათ ყველასთან მეგობრულად და თანამშრომლობით მოქმედება. სხვაგვარი დამოკიდებულებით თანამშრომელმა ხელი არ უნდა შეუშალოს, ან დაბრკოლება არ უნდა შეუქმნას კოლეგებს მუშაობაში.

- **კომუნიკაცია**

ყველა თანამშრომელი ვალდებულია, იყოს ღია კომუნიკაციისა და დიალოგისთვის თავის თანამშრომლებთან, ხელმძღვანელებთან, ბაფის წევრებთან და მესამე მხარის წარმომადგენლებთან.

- **შიდა პოლიტიკა**

ყველა თანამშრომელს მოეთხოვება, წაიკითხოს და დაიცვას ბაფის ყველა მარეგულირებელი მოთხოვნები და სახელმძღვანელო დოკუმენტი. რაიმე შეკითხვების წარმოშობის ან მარეგულირებელი დოკუმენტის ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში თანამშრომელმა უნდა მიმართოს ხელმძღვანელს.

4.4. დისციპლინური მოქმედებები

ხელმძღვანელობა უფლებამოსილია, მიიღოს დისციპლინური ზომები ნებისმიერი თანამშრომლის მიმართ, რომლებიც განმეორებით ან განზრახ არ დაიცავენ მენეჯმენტისათვის დადგენილ ქცევის კოდექსს. ჩადენილი დარღვევის მიხედვით, დისციპლინური მოქმედებები განსხვავდება.

მენეჯმენტისათვის დადგენილ ქცევის კოდექსის დაუცველობის გამოვლენამ შესაძლოა განაპირობოს შემდეგი შედეგი:

- საყვედური;
- დაქვეითება;
- დასაქმების შეჩერება ან შეწყვეტა, როდესაც საქმე ეხება სერიოზულ სამართალდარღვევებს;

- ხელფასის შემცირება გარკვეული დროის განმავლობაში.

ნებისმიერ დროს შეიძლება მიღებული იქნეს სამართლებრივი ზომები, როდესაც კორუფცია, ქურდობა, მითვისება ან სხვა უკანონო ქცევა იქნება გამოვლენილი.

ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან